შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14 (9.728)

16-23 აპრილი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მიწის რეგისტრაციის ხარჯები ბიუჯეტიდან დაფინანსდება

გვ.5

მშვიდობა დედამიწას!

გვ.6

გვ.3

„გაილე სისხლი ბავშვებისთვის“!

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ ეს აქცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენს მიერ გაღებული სისხლი, პირველ რიგში ბავშვებს მოხმარდება და, იმედია, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლეს მაინც გადაარჩენს.“

ოლონდ ქართულად ილაპარაკეთ!

გვ.2

სიყვარული შობს სასწაულებს...

გვ.8

ჩემი 9 აპრილი, ანუ რომ გაჰყოლოდა ერი პატრიარქს...

გვ.5

„სამზეოს შევრჩეთ მარად“

გვ.3



ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!

14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. ეს დღე 1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან დაწესდა.

1977 წელს ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული. 1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა გადაწყვიტა. სსრკ-ის სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული ენა რჩებოდა. 75-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ქართული ენა კარგავდა სახელმწიფო ენის სტატუსს, ასეთი იყო: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისთვის. საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე იმ ენებისა, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

კრემლის ინიციატივას თბილისში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. კრიზისის განმუხტვა შესაძლებელი გახდა ედუარდ შევარდნაძის მიერ მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტებთან მოლაპარაკებით, რომლის შედეგად, მიღებულ იქნა ნებართვა, ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის ყოფილი სტატუსი შეენარჩუნებინათ.

„ქართული ენა - ეს არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა! იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი.“ - ილია II

„წვდით ცოცხალ ფესვებს საქართველოისა: მის გენიალურ ენას, მის უნივესალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს სიცოცხლისა; წვდით ამ ფესვებს და ფესვები არწივის ფრთებად აგესხმით, და ამ გზით მოიპოვებთ თავისუფლებას. თავის-უფალი - გესმით, რა გულისხმიერი სიტყვაა! მარჯი საქართველოს, თავისი თავის უფალს!“ – გრიგოლ რობაქიძე

„მე შეგახსენებთ გალაკტიონს ალალმართლურად,
ჰირდაჰირ გეტყვით, არ დაგიწყებთ იგავ-არაკებს:
„ილაჰარაკეთ, მე თქვენა გთხოვთ ოღონდ ქართულად,
ოღონდ ქართულად ილაჰარაკეთ!“

ვახუშტი კოტეტიშვილი - ჩვენს ახალგაზრდებს

ქართული ანბანი უცხოელთა თვალით

კონსტანტინე გამსახურდია თავის პუბლიცისტურ წერილში („ისევ ქართული შრიფტის შესახებ“) წერდა:

„1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტში მასწავლიდა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოლოგი ბარონ ფონ ლიხტენბერგი, ჟურნალ მემნონის რედაქტორი“... შემდეგ მწერალი აღწერს მეცნიერის ქართული ანბანით დაინტერესებას და ამ ანბანის მისეულ შეფასებას:

„მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტი არ მეგულება“...

ამავე თემაზე აქვს მწერალს მოგონება კიდევ ერთ წერილში - „ქართველობა და უცხოეთის გენია“:

„ქართული ალფაბეტი, - მითხრა ერთმა უცხოელმა, ქართულის მცოდნე ორიენტალისტმა, - ჩემთვის ჯერაც ამოუხსნელი სფინქსია.

მარტო ესთეტიური თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ვერც გოტური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადასა და ლამაზს, კოხტა ასოებს.

ქართველები, ალბათ, ვერც კი ამჩნევთ ამას. არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ ხალხთა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი“.

ქართულ ანბანზე თავიანთი შეხედულებები აქვთ გამოთქმული სხვა, არანაკლებ სახელგანთქმულ უცხოელ მეცნიერებსაც:

„ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგი არის ყველაზე სრულყოფილი ანბანი ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამომხატველია“.

პ. კ. უსლარი - **რუსი ენათმეცნიერი (1816-1875)**

* * *

„ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულიად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება“.

უილიამ ედუარდ დევიდ ალენი - **ინგლისელი ორიენტალისტი (1901-1973)**

* * *

ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა.

ნიკო მარი

* * *

გამოხატვის საშუალებებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. ის არც სიტყვის მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე უფრო განვითარებულ ენებს.

პროფესორი რიხარდ მეკელაინი, **ქართველოლოგი.**

ო, ენავ ჩემო!

დღეს 14 აპრილია, დედაენის დღე. ფიქრები მომეძალა. ყურში ნათლად ჩამესმის:

ო,ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ ჩემო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ ჩვენი სუნთქვის დიდო ალმამ,
შენ ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ კირო ჩვენთა, ქვათა და კირთა,
შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის ჰირთან!

ეს ირაკლი აბაშიძის ლექსია „ხმა კატამონთან“. მან ეს ლექსი დაწერა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის სურათის აღმოჩენის დროს. მას მერე ეს ლექსი ჰიტად იქცა და თითქმის ნახევარი საუკუნეა, ყოველ 14 აპრილს დედაენისადმი მიძღვნილ ყოველ ზეიმზე, რომელიც დიდი მონაპოვარია ჩვენი ერის,ჰიმნივით ისმის. ამ ლექსს, და არა მხოლოდ ამ ლექსს, ბევრ სხვასაც , გრძნობით და მხატვრულად წარმოსთქვამენ საბავშვო ბაღის და დაწყებითი კლასის ბავშვები, რომლებსაც გულწრფელად უყვართ და სჯერათ, რომ მათი მშობლიური ენა ერთადერთი და განუმეორებელია, რომ ისინი, სიცოცხლის ბოლომდე უნდა ემსახურონ და დაიცვან ის. ეს, რა თქმა უნდა, სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ გავა სულ რამდენიმე წელი, ხელს გაუშვებენ დედებს, გამოვლენ ქუჩაში და ... იქ სულ სხვა რეალობა დახვდებათ: დედა ენის სიყვარული და მისით გამოწვეული აღტაცება ტკბილ მოგონებადღა დარჩება, რადგან მოზრდილთაგან ცოტას თუ აინტერესებს, რომ სწორედ ეს ენაა მისი მაიდენტიფიცირებელი კოდი, ნაკლებად თუ უყვართ და ზრუნავენ მასზე. დაბინძურებული, დაჭუჭყიანებული ქართული ენის ღირსება შებღალულია ბილწსიტყვაობით, ათასნაირი ბარბარიზმით, საჭირო და არასაჭირო ტერმინების შემოგდებით. აქ კი იოსებ ნონეშვილი ჩაგვძახის:

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს!

მოხერხებაც არის და მოხერხებაც. იქნებ ჯობს, ვერ ლაპარაკობდე, ვიდრე ყოველი სიტყვის თავზე



საკუთარ დედას იგინებოდე შენი კაცობის და მეობის „დასამკვიდრებლად“. კიდევ დიდი შეღავათი იქნებოდა, მარტო ქუჩაში იშვიათად რომ ისმოდეს დაბინძურებული ქართული. ჩართავ ტელევიზორს და ნიაღვარივით მოდის ათასნაირი გინება და უმსგავსი სიტყვები(და არა მარტო სიტყვები-ქცევებიც) ტელესერიალებიდან თუ თოქშოუებიდან. არც თანამედროვე ლიტერატურაა დაცული ამ „ჟანრის“ მოჭარბებისგან: ლექსი, მოთხრობა თუ რომანი ხშირად სავსეა მსგავსი „სიტყვაკაზმული შედევრებით“. მათი აზრით ეს თავისუფლებაა, რაშიც, არამც და არამც, არ ვეთანხმები. მით უფრო, რომ მათი დიდი ნაწილი საკმაოდ განსწავლული, საზღვარგარეთ განათლებამიღებული, რამოდენიმე უნივერსიტეტდამთავრებული მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ოჯახის შვილები არიან. ყველას ვერ მოვთხოვთ აკადემიურ მეტყველებას, ანდა, მხატვრული ნაწარმოების აკადემიურ ენაზე წერას, რადგან პერსონაჟთა დიალექტიკური და სიტუაციის შესაბამისი მეტყველება აცოცხლებს და იოლადსაკითხავს ხდის მას, თუმცა, ზომიერება ყველგან და ყველაფერში საჭიროა. გვიყვარდეს, მოვეფეროთ, შევინარჩუნოთ და დავიცვათ ჩვენი ენა ყოველგვარი არასასურველი შემოტევისაგან. წერილი მინდა ჩემი მეგობრის მანანა ნადირაშვილის ლექსით დავამთავრო და კიდევ ერთხელ მოგიწოდოთ: ფრთხილად, ენა ცოცხალი ორგანიზმია და ნუ ვავნებთ და ვატკენთ!

* * *

არ გახლავთ იაკობი
არც აკაკი, არც ილია
მე ვარ უბრალო ქართველი,
დედა ენით გაზრდილია.
დედა ენამ შემაყვარა
ყველა სიტყვა ქართული,
შემაყვარა საქართველო
ენა სიტყვაკაზმული.
სხვა ენაზე როგორ ვიტყვით
ლამაზ სიტყვას „ფრთანათელოს“
ან „მზეყვიას“, ან „ცხრათვალას“
და ან კიდევ „თვალნათელოს“.
ვინ უწოდოს ხელის გარტყმას
ერთი სიტყვა „ალიუური“,
ქართულ ფოლადს ვინ დაარქვა
ვინ უწოდა „ხალიბური“,
სხვა ენაზე ვინ უწოდოს
კავკასიონს „ბუმბერაზი“,
ან სიმინდის მწვანე ფუჩეჩს
„ასი-ასი ასლამაზი“,
ვინ მითარგმნოს სხვა ენაზე
სიტყვა-სიტყვით „ათინათი“
სხვა ენაზე ამის თარგმანს
დასჭირდება სიტყვა ათი.
ან ვინ თარგმნის „აგიზგიზდას“
„ზაცისკროვნდას“, „აელვარდას“,
სხვა ენაზე ვერ მოვისმენთ
მშობლიური ენის გარდა.
ჩემი ენა მირჩევნია
მსოფლიოში ყველა ენას,
სწორედ მიტომაც დავუდგით
დიდი ძეგლი დედა ენას.

ნაირა გორაშვილი

„გაიღე სისხლი ბავშვებისთვის“!



„გაიღე სისხლი ბავშვებისთვის!“ - სისხლის დონაციის აქციის ფარგლებში 14 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს იაშვილის ბავშვთა კლინიკის სისხლის ბანკის ორი ჯგუფი ეწვია. აქციაში ჩაერთნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების და სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლები.

„იაშვილის ბავშვთა კლინიკასთან არსებული სისხლის ბანკის წარმოამდგენლები ჩამოვედით დედოფლისწყაროში. ჩვენი მიზანია, სისხლის დონაციის ჩატარება, რომელიც მოხმარდება ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. ერთი ადამიანისგან გაღებული სისხლით, სამი ადამიანის სიცოცხლე შეიძლება გადავარჩინოთ. დონაციის შედეგად მიღებული სისხლი პირველ

რიგში ხმარდება ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, შემდეგ კი სხვადასხვა დაავადების მქონე პატარებს“ - განაცხადა სისხლის ბანკის მენეჯერმა ეკა გუგეშაშვილმა და დასძინა, რომ ისინი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში დადიან და ყველა მუნიციპალიტეტი მონაწილეობს ამ აქციაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი წელს პირველად ჩაერთო ამ საქველმოქმედო აქციაში და ის შემოდგომაზე კვლავ განხორციელდება.

„ მოხარული ვარ, რომ აქციაში ყველა სიხარულით ჩაერთო - როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები, ასევე სკოლის პედაგოგები და დედოფლისწყაროს მაცხოვრებლები. ეს აქცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენს მიერ გაღებული სისხლი, პირველ რიგში ბავშვებს მოხმარდება და, იმედია, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლეს მაინც გადაარჩენს.

ჩვენ მსგავს აქციაში პირველად ჩავერთეთ და მომავალში აუცილებლად გავიმეორებთ. იაშვილის ბავშვთა კლინიკის თანამშრომლებს შევპირდით, რომ შემოდგომაზე კვლავ გვეწვევიან და, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას“- განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის სოფლების წარმომადგენლებიც, მათ არ დაიზარეს და არა მარტო დიდი გზა გამოიარეს, არამედ საკმაოდ გრძელ რიგშიც მოთმინებით იდგნენ. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ბავშვებისთვის გაღებული სისხლი დიდ მადლია. „ჩემს ახლობელს ბავშვი გაუხდა ავად. ის გვიყვებოდა, თუ რამხელა პრობლემის წინაშე დადგა მთელი ოჯახი, რადგან შესაბამისი ჯგუფის სისხლის დეფიციტი შეიქმნა სისხლის ბანკში“-განაცხადა ერთ-ერთმა მონაწილემ. მსგავსი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად ყველა ადამიანმა საკუთარი ნებით გაიღო სისხლი, სისხლი, რომლითაც ბავშვების სიცოცხლის გადარჩენა შესაძლებელი გახდება...

ინგა შიოლაშვილი

შეხვედრა ბიზნესმენებთან

6 აპრილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ადგილობრივი ბიზნესმენების რიგით მესამე შეხვედრა გაიმართა, სადაც განიხილეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისათვის ადგილობრივი ნაწარმის გამოფენის საკითხები. ასევე დაისახა გეგმები ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაციის შემდგომი ნაბიჯების განსახორციელებლად. ამ მიზნით ჩამოყალიბდება მუშა ჯგუფი, რომელიც მოამზადებს კონკრეტულ საკითხებს შემდგომი შეხვედრისთვის.

„შეხვედრაზე სამომავლო გეგმები დავსახეთ, ასევე ძირითადად გამოფენაზე იყო საუბარი. არ ვიცი ეს გამოფენა პირადად ჩემს ბიზნესს რას მოუტანს, თუმცა, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის იქნება კარგი, იმიტომ რომ ჩვენი რაიონის პროდუქცია წარმოჩნდება“ - განაცხადა ადგილობრივმა ბიზნესმენმა ნიკოლოზ ბენიაიძემ.

„სამზეოს შევრჩეთ მარად“ დედოფლისწყაროში

„სამზეოს შევრჩეთ მარად“-ასე ერქვა კონცერტს, რომლითაც ფოლკლორული ანსამბლი „ჰერულა“ და ტრიო „დები ნაყეურები“ დედოფლისწყაროელების წინაშე წარსდგნენ.

საღამოზე საკონცერტო ნომერი „დებმა ლოლაშვილებმაც“ წარმოადგინეს. მაყურებელმა სცენაზე პირველად იხილა დედოფლისწყაროელი მალხაზ უძილაური. მისმა სადებიუტო შესრულებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მალხაზ უძილაურს, როგორც ახალგაზრდა და პერსპექტიულ შემსრულებელს, ღონისძიების ორგანიზატორებმა საჩუქრად მობილური ტელეფონი გადასცეს. ხმის ჩამწერი სტუდია „არაგვიანი“ კი 15 წლის მალხაზს სიმღერას ჩაუწერს.

ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელები და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სასულიერო პირები ესწრებოდნენ. საღამოს დასასრულს მომღერლებმა მათ მხარდაჭერისა და თანადგომისათვის მადლობა გადაუხადეს.

„ჰერულა“ და „დები ნაყეურები“ კონცერტებს კახეთის სხვა რაიონებშიც ჩაატარებენ.

ინტერვიუ „მექანიზატორი-2005“-ის დირექტორთან

ყოველდღიურად სახლიდან დანიშნულების ობიექტამდე დავდივართ გზებზე, მივდივართ მაღაზიებში, შვილებთან ბაღში, სკოლაში, საჯარო სამსახურში.... ერთიდაიგივე გზა ჩვენს ცხოვრებაში ისეა გაიგივებული, ვერც კი ვგრძნობთ, დღეში რამდენჯერ გვიხდება ქუჩებსა თუ გზატკეცილებზე სიარული. თუკი სადმე რთული სავალი გზაა, ან ფეხი გვივარდება ორმოში, ამას მაშინვე ვაპროტესტებთ, თუმცა, როდესაც კარგ გზაზე დავდივართ, გვავიწყდება, რომ აღვნიშნოთ,- ეს ნამდვილად კარგია! აღარც გვახსოვს, რომ სულ ცოტა ხნის წინ, იმაზე ოცნებაც შეუძლებელი იყო, რომ გვქონოდა სწორი გზები და გვევლო ლამაზ ქუჩებზე. დადგენილი აქსიომაა: - რაც გვაკლია, ვჩივივართ, ვღებულობთ და გვავიწყდება, რომ ოდესღაც გვენატრებოდა...

საერთოდაც, ცხოვრება ხომ ერთი დიდი გზაა, რომელიც შემდეგ ლამაზ ან უსახურ ფოტოებად აღიბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში. თანამედროვე მაგისტრალები და გზები, საშუალებას იძლევა. სწრაფად მივიდეთ ერთი ადგილიდან მეორემდე. შესაძლოა, ჩვენ ეს უმნიშვნელო განმარტება გვგონია, მაგრამ გზას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს და ძალიან ბევრ ფენომენს შეიცავს.

პირველი მოკირწყლული გზები მესოპოტამიაში, დღევანდელ ერაყში დაიგო დაახლოებით ძვ.წ. 2200 წელს. ორი ათასი წლის შემდეგ, რომაელებმა ქვის მოკირწყლული მტკიცე, სწორი გზების მშენებლობა დაიწყეს. ეს გზები ერთმანეთთან აერთებდა იმპერიის სხვადასხვა ნაწილებს და ჯარს ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში სწრაფად გადაადგილების საშუალებას აძლევდა. XV და XVI საუკუნეებში სამხრეთამერიკელმა ინკებმა გზატკეცილებისა და ვიწრო გზების საოცარი ქსელი შექმნეს. 1800-იანი წლების დასაწყისში ჯონ მაკ-ადამმა გზების მშენებლობის ახალი ხერხი გამოიგონა. მომავალი გზების ნიადაგს წრეტდნენ და ხრეშით ფარავდნენ. შემდეგ ზედაპირის გასამაგრებლად ასფალტის ან ბიტუმის დამატება დაიწყეს, რის შედეგადაც გზა მოსახერხებელი გახდა ავტომანქანების რეზინის საბურავებისათვის.

ჩვენს რაიონში ბოლო პერიოდში არაერთ მაგისტრალზე და ქუჩაზე დაიგო ასფალტი. ამ საქმეს მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო თანხების მეშვეობით არაერთი და ორი კომპანია აკეთებს. ბევრი მათგანი სხვა რეგიონების კომპანიებია, რომლებთანაც შეხება ნაკლებად გვაქვს, თუმცა, დედოფლისწყაროში არსებობს უკვე მრავალწლიანი საგზაო მუშაობის გამოცდილების საკმაოდ სერიოზული კომპანია, რომელიც საქმისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებით და ხარისხით თავის სიტყვას ამბობს ცოცხალი კონკურენციის ბაზარზე. ჩვენი ყურადღება სწორედ ჩვენი მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში მყოფმა კომპანიამ „მექანიზატორი-2005“-მა მიიქცია. თუ როგორ მუშაობენ ამ კომპანიაში, როგორ პირობებში უხდებათ მათ სამუშაო პროცესის განხორციელება, რა სამომავლო გეგმები აქვთ და რით ცდილობენ გადაირჩინონ თავი, როდესაც არ აქვთ სამუშაო, ამ მიზნით **„მექანიზატორი 2005“-ის დირექტორს** ვანო ლოლაშვილს ვესტუმრეთ და მასთან ინტერვიუ ჩავწერეთ.

-ბატონო ვანო, რა სამუშაოებს ასრულებს „მექანიზატორი-2005“ ?

-„მექანიზატორი-2005“ თითქმის ყველანაირ მომსახურებას ეწევა, ვუშვებთ თეთრ ხრეშს, ე.წ. ღრავს, გვაქვს გადამამუშავებელი დანადგარი ხრეშის საამქრო, ვაკეთებთ ორგანიზაციების და სახლების სახურავებს, ვახორციელებთ მშენებლობებს, რაღა თქმა უნდა, უმეტესწილად ორიენტირებული ვართ გზების შკეთებაზე. ვუშვებთ: ბლოკს, ბეტონს, ასფალტს.

-რამდენადაც ვიცი, არსებობის მანძილზე უამარავი კარგი პროექტი გაქვთ განხორციელებული რაიონში, მოდით ამ პროექტებზე ვისაუბროთ.

- ჩვენს მუნიციპალიტეტში თითქმის ყველა შიდა გზა ჩვენს მიერაა გაკეთებული, უამრავი პროექტი განვახორციელეთ, ბევრი არც მახსენდება, მათ შორისაა კულტურის სახლში რემონტი, ჭერი გვაქვს ბევრგან შეცვლილი, 2008 წელს განათებები გავაკეთეთ რაიონის შემოსასვლელში და სხვადასხვა ქუჩაზე, აშენებული გვაქვს მინი სტადიონები, საბავშვო გასართობი ატრაქციონები, ნაწილი სოფლის პროგრამებით, ნაწილი ტენდერებით, ჩვენი საჩუქარია ელიის მთაზე ასასვლელი გზების ნაპირებზე დარგული ნაძვები, სკამები, განათებები. ძალიან ბევრი პროექტია, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

-სხვა რაიონებში განხორციელებული პროექტების შესახებ რას იტყოდით?

-რამდენიმე ქუჩა დავაგეთ ყვარელში, ცენტრალური ქუჩა მოვაასფალტეთ გურჯაანში, სიღნაღშიც გვიმუშავია, თუმცა, ხშირად ვცდილობთ, რომ არ გავიდეთ სხვა რაიონში და მათ არ გავუწიოთ კონკურენცია. ეს ადამიანური მომენტია, ხომ გესმით. სხვათაშორის მინდა აღვნიშნო, რომ ადრე კახეთის ძალიან ბევრი რაიონი იყო ისე, რომ ასეთი კოპანიები, რომელიც გზების დაგებას ემსახურებოდა, არ არსებობდა და მაღალი იყო ჩვენს კომპანიაზე მოთხოვნა, მით უმეტეს, ჩვენი კომპანია ყველა საჭირო ტექნიკითაა აღჭურვილი, ამჯერად თითქმის ყველა რაიონში შეიქმნა საგზაო მომსახურების ცენტრები და ჩვენც შეგნებით ვეკიდებით ამ ამბავს და თუ რომელიმე რაიონს გამოცხადებული აქვს ტენდერი, ვცდილობთ, ჯერ იმ რაიონის საგზაო მომსახურების ცენტრს დავაცადოთ.

-ამბობენ, რომ თქვენს კომპანიას აქვს თანამედროვე, ძვირადღირებული ტექნიკა, რომლის ანალოგიც ბევრ ასეთ კომპანიას არ აქვს.

-ის, რაც გზას შეეხება, ჩვენ გვაქვს ყველა ტექნიკა, გადამამუშავებელი წარმოება.

-რამდენი ადამიანი ჰყავს დასაქმებული „მექანიზატორი-2005“და რამდენად არიან ისინი ხელფასებით დაკმაყოფილებულნი.

-„მექანიზატორი-2005“ კოლექტივის ადმინისტრაცია 15- 20 მოსამსახურისგან შედგება, პროექტების პერიოდში მათი რიცხვი 70-80-მდე იზრდება, რადგან მუშათა რაოდენობა მატულობს. რაც შეეხება ხელფასებს, მაქსიმალურად დაკმაყოფილებულები არიან, თუმცა, მათ თავდაპირველადვე იციან, რომ პრაქტიკულად ჩვენ ტენდერებზე ვმუშაობთ, მუშას კი ხელფასს ვერ ვუხდით, სანამ თანხა სრულად არ ჩაირიცხება, თანხის სრულად ჩარიცხვა კი, პროექტის ჩაბარებამდე არ ხდება, ასეთია ტენდერის კანონზომიერება, ამას ჩვენ კი არ ვაკეთებთ, ამას ტენდერის პირობები მოითხოვს. მქონია პრაქტიკაში შემთხვევა, როდესაც მუშებისთის სამი თვე ხელფასი ვერ მიმიცია, ზემოაღნიშნული გარემოების გამო, თუმცა, პროექტის დასრულებისთანავე ყველას მიუღია ნამუშევარი სრულად. ეს დასაწყისშივე ყველა მუშამ იცის და არანაირი წინააღმდეგობა არ გვქონია არასოდეს.

-ჩვენს მუნიციპალიტეტში კონკურსის შედეგად არაერთი სხვა კომპანია შემოსულა და სხვებს განუხორციელებიათ პროექტები, ფაქტიურად ისინი თქვენსავე რაიონში გიწევენ კონკურენციას. ამ პირობების თანახმად, ჩვენს რაიონში გასაკეთებელი საქმისთვის გაღებული თანხა სხვა რაიონის მუშაზე და პარალელურად მათ ოჯახებში წასულა, ამ საკითს ჩვენი რაიონის ბევრი მკვიდრი გაუნაწყენებია, აქაურ ხალხს ლუკმა გვენატრება და სხვა რაიონის ხალხს კი ასაქმებენო. საინტერესოა, თქვენთვის არ ჩნდება წყენის მომენტი, როდესაც კონკურსში სხვა კომპანია იმარჯვებს და მათი მუშები საქმდებიან?!

- მაგას ვერ შევეწინააღმდეგებით, როგორ შეიძლება არ გწყინდეს, მაგრამ ეს კანონია და ტენდერი ქმნის კონკურენციას სახელმწიფოს სურს მაქსიმალურად მაღალ დონეზე გაკეთებული საქმე მიიღოს და მეტი თანხა დაზოგოს, ეს კანონზომიერია, ჩვენ უნდა შევეცადოთ და ასეთ პირობებს დავთანხმდეთ და მათი იმედები მაქსიმალურად გავამართლოთ. ამიტომ ვცდილობთ, მინიმუმამდე დავიყვანოთ მოგება და მაქსიმუმი ჩავდოთ, რათა კონკურსში გავიმარჯვოთ. ეს ყველაფერი იქიდან გამომდინარეა, რომ „მექანიზატორ 2005“-ს არ სურს დაუსაქმებული ხალხი თავის კომპანიაში, ჩვენ გვირჩევნია ხალხი დავასაქმოთ და ნაკლები მოგება ვნახოთ, ვიდრე არაფერი ვაკეთოთ და ხალხიც დაუსაქმებელი დაგვრჩეს.

- ხალხური გამონათქვამია: „ფრინველი ბუმბულით იცნობა, კაცი საქმითაო“- როგორი შეგრძნებაა, როდესაც დადიხართ ავტომანქანით, თუ ფეხით ქუჩებში და იცით, რომ ესა თუ ის საშვილიშვილო საქმე თქვენი გაკეთებულია?

-სიამაყეა, ხომ გაგიგონიათ გერმანული ანდაზა „კარგ სახელს ოქროს ფასი აქვსო“- მეც ვცდილობ ეს სიტყვები გავამართლო, იმიტომ, რომ დამიჯერეთ „ადამიანისგან მხოლოდ მისი საქმეები რჩება“, დანარჩენი ყველაფერი წარმავალია.

- სად გადის ის ოქროს შუალედი, რითაც თანამშრომლებს, უბრალო ადამიანებს არჩევთ, აფასებთ და თქვენს გვერდში იყენებთ?

- ზღვარი არ მაქვს ადამიანის შეფასებისას, რადგან უზომოდ მიმტევებელი ადამიანი ვარ, ცხოვრება წარმავალია და არ ღირს ადამიანების გარჩევის და მათი აწონ- დაწონვისთვის დროის ფლანგვა, ვცდილობ, ყველასთან სუფთა და მართალი ვიყო და თუ ვინმეს რაიმე ეშლება ან შეშლია, მერე როდისმე, უჩემოდაც მიმხვდარა თავის შეცდომებს და ამისთვის ჩემი მდგომარეობიდან გამოსვლა არასწორად მიმაჩნია. ფუჭ საქმეში, ფუჭად დროის ხარჯვა არასოდეს მიყვარს. ამიტომაცაა, არ მაქვს ოქროს შუალედი, არასოდეს არ ამიწონია რომელიმე თანამდებობის ადამიანი უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე მუშა. მე პირიქით ვარ, რიგით მუშებთან პურის გატეხვა და ჭამა მიყვარს, ვიდრე დანა-ჩანგლით თავმოწონება. საერთოდაც მინდა აქვე თითოეული ჩემი კომპანიის თანამშრომელს, დაწყებული ადმინისტრაციის მოსამსახურეებიდან, დამთავრებული მუშებით, ყველას მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, იმ ერთიანობისა და ერთ მუშტად შეკრულობისთვის, რასაც კოლეგიალობა და თანამშრომლობა ჰქვია, მე ყველა მათგანს ვაფასებ, ყოველი მათგანის ჭირიც გამიზიარებია, ლხინიც და ამაყი ვარ, რომ ასეთი კოლექტივი მიდგას გვერდით.

-თქვენი მამა რაიონში ყველასთვის ცნობილი ადამიანი იყო, რომელსაც აფასებდნენ და უყვარდათ, რას გაიხსენებდით ბატონ კოტეზე?

-მამაჩემი, კოტე ლოლაშვილი, 17 წლისა დაობლდა. 1962 წელს, 27 წლისა იყო, კომუნალური მომსახურების ცენტრი ჰქონდა. დღემდე კოტეს ბიჭად მიცნობენ, აღვნიშნე ზემოთ, რომ სახელის დატოვება სჯობია ყველაფერს-მეთქი და მართლაც ასეა, ყველა პატივს მცემს, როგორც კოტეს შვილს და მე ეს მეამაყება. პატარა ბავშვი ვიყავი, ალბათ რამდენიმე წლისა ვიქნებოდი, რომ ხორნაბუჯის სკოლის წინ დავრბოდი, რომელსაც მამაჩემი აშენებდა, საავადმყოფოც მამაჩემის აშნებულია, რაიონის შემოსასვლელიც და ეს ყველაფერი ჩემი ბავშვობის მოგონებებია, ჩემს თვალწინ შენდებოდა რაიონი. ვერ წარმოიდგენთ, რა სიამაყე დამეუფლება ხოლმე, როდესაც თუნდაც იმ უკვე დანგრეულ და უკვე ძველისძველ საავადმყოფოს შენობისკენ შევუხვევთ, ჩემს თვალწინ ჩემი მოგონებები იშლება, მამასთან ერთად რომ გამიტარებია და სიამაყის და სევდის ცრემლი მერევა ხოლმე.... ბევრი რამე შექმნა, სხვა რომ ყიდიდა, ეს ყიდულობდა. ხშირად სახლში ბევრი რომ არაფერი გვქონია, გარეთ ისეთი თავმომწონე იყო, ადამიანური, მასპინძლობის მოყვარული, უყვარდა ქეიფიც, სტუმარიც და ისე ჩანდა, თოთქოს არაფერი აკლდა. ვშრომობდით, არაფერს ვთაკილობდით, მე, პირადად, ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული, ორივე წითელ დიპლომზე, ასპირანტურაც დავამთავრე, მაგრამ არ დავრჩი ქალაქში, არ გავაგრძელე სამეცნიერო მოღვაწეობა და ჩამოვედი, მინდოდა, ჩემი რაიონის სამსახურში გამეტარებინა ჩემი ახალგაზრდობა. მარშუტკის მძღოლადაც მიმუშავია სრულიად ახალგაზრდა ბიჭს, ტრაქტორიც მიტარებია, არაფერი მითაკილებია და დღემდე ძიებაში ვარ, ვაკეთო საქმე და ვიარო წინ, თუ წინ არ ვიარეთ, სხვა გაგვასწრებს და დავიჩაგრებით. ვიგონებ და ვაწყობ სხვა სამეურნეო საქმეებსაც, რადგან სერვისცენტრის შეჩერების მომენტში მუშები დაუსაქმებელი არ დამრჩნენ. ამისთვის შეერთებული გვაქვს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები (ახლახანს ჯიშიანი ქათმების გამოყვანა დავიწყეთ და ინკუბატორი გავაკეთეთ), რათა იმ პერიოდში, როდესაც ხელფასს ვერ გავცემ, ან გაჩერებულები ვართ, ხალხი დასაქმებული მყავდეს. სამომავლო იდეები ბევრი გვაქვს, თუმცა, ჯერჯერობით არ გავამხელ, წინასწარ საუბარი არ მიყვარს.

-ერთ დროს ხომ ეს კომპანია მამათქვენის იყო, არ გაგიჭირდებოდათ მასზე აგურის დაშენება...

-კი, მაგრამ კოტე მოულოდნელად გარდაიცვალა და მისგან მხოლოდ ეს კომპანია და ხელში 400 ლარი დამრჩა, გავაუქმე მისი კომპანია და ჩამოვაყალიბე ახალი, მინდოდა, სუფთა ფურცლიდან დამეწყო....

-ამჟამად რა პროექტით ხართ დაკავებული?

- კონკურსში გამარჯვებული ვარ და ცენტრალურ და შიდა გზებზე ვმუშაობთ. ახლა დედოფლისწყაროს ცენტრში, პირველი სკოლის შესახვევს, ახალი საავადმყოფოს მისასვლელ გზას ვაკეთებთ.

-გმადლობთ, ბატონო ვანო, საინტერესო და გულახდილი საუბრისთვის. წარმატებები მინდა გისურვოთ.

-მადლობა თქვენ ჩვენი კომპანიის საქმიანობით დაინტერესებისთვის.

ლალი მეხრიშვილი

ჩემი 9 აპრილი, ანუ რომ გაჰყოლოდა ერი პატრიარქს...

„თბილისის დროით 9 საათი და 25 წუთია, შუადღით მოსალოდნელია მცირე ნალექი... რუსთაველის გამზირზე დილიდან მთავრობის წევრები და მოქალაქეები იკრიბებიან, რათა პატივი მიაგონ...“

დღეს 9 აპრილია! შემრცხვა, რომ თვითონ არ გამახსენდა ეს თარიღი. კიდევ კარგი, დროულად მაინც გავიღვიძე.



წვიმს. უკვე რუსთაველზე მივაბიჯებ. ყველგან ყვავილებია. ვისაც არ უნდა შევხედო, ყველას თაიგული უჭირავს ხელში. რაღაცნაირად მიხარია და მეღიმება. ჯიბეში ზუსტად 5 ლარი მიდევს. ვიცი, რომ ეს ფული დღეს სამგზავროდ და საჭმლისთვის უნდა ვიმყოფინო, მაგრამ გული არ მითმენს. ერთ კოპწია თაიგულს ვყიდულობ და რაღაც უჩვეულო განცდით ვუახლოვდები პარლამენტის შენობას.

არასოდეს, არასოდეს ჩემს 19-წლიან ცხოვრებაში ასეთი უცნაური შეგრძნება არ მქონია. მსგავსი უცნაურობები ამ ბოლო დროს შემომიჩნდა. რაღაც შიგნიდან მჭამს და მიკიჟინებს, რომ ჩემი ქვეყნის ნაწილი ვარ, რომ რაღაც, სულ მცირე, ჭიანჭველისოდენა მაინც უნდა გავაკეთო ჩემი სამშობლოსათვის. ახლაც ვდგავარ ამ დიდებულ ადგილას, სადაც, ვინ იცის, რამდენ ჩემს ტოლს უღრღნიდა გულს მსგავსი ფიქრი და რამდენმა მათგანმა საკუთარი სისხლი გადაუსხა ღონეგამოცლილ, ვენებგადახსნილ საქართველოს.

აქეთ-იქით ვიყურები. ვაკვირდები ხალხს, ყვავილებს. პარლამენტის თავზე ჩემი ქვეყნის დროშა ფრიალებს. ვცდილობ, გავიხსენო, ოღონდ არ ვიცი რა. გონებას ვძაბავ. ჩემს მცირეხნიან არსებობას 9 აპრილი არ ახსოვს. არ ახსოვს, მაგრამ მეხსიერებაში საიდანღაც მაინც ამოტივტივდება ხოლმე ის საზარელი კადრები, ერთდროულად შემაძრწუნებელიც და სევდანარევი სიხარულით სავსეც.

ყოველი 9 აპრილი ჩემს გონებაში იწყება ფიქრით: რომ გაჰყოლოდა ერი პატრიარქს...

რატომ მივისწრაფით ყოველთვის სისხლისღვრისკენ? რატომ ხდება, რომ ყოველთვის ჩვენი დანთხეული სისხლით უნდა შეიკიროს მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები? რატომ იყო აუცილებელი, მაინცდამაინც ქართველის თავგანწირვა საბჭოთა კავშირის ტირანიის დასამხობად? ეს ხომ სულ მალე, სულ მალე მოხდა. მაგრამ ჩვენ ვერ მოვიცადეთ და ამჯერადაც ავჩქარდით. ჩვენ გვსურდა, ჩვენი უშუალო მონაწილეობით, თუნდაც სიცოცხლის ფასად, დაჩქარებულიყო ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესი. რა მოგვყვება ამისთანა დასაბამიდან დღემდე, რომ მუდამ სისხლი გვიდუღს ძარღვებში და დაუოკებელი რევოლუციური სული ერთ ადგილას არ გვაჩერებს? განა ასე ბევრნი შემოვრჩით ამ საუკუნეს?!

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“

ჩვენს ხალხს არსებობის დასაწყისიდან მოჰყვება გენეტიკური მისწრაფება თავგანწირვისკენ. ალბათ, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ერის სულიერი განმტკიცებისა და აღორძინებისთვის. ალბათ, მხოლოდ სისხლია სიყვარულის ჩვენებური ფასი. ჩვენ ხომ მაშინ ვერთიანდებით, როცა განსაკუთრებულად მძიმე ჟამი გვიდგას. ქართველ ერს საერთო გლოვის შემზარავი ზარები აერთიანებს. მჯერა და მწამს, რომ 9 აპრილსაც ტყუილად არ დაღვრილა ჩვენი თანამემამულეების სისხლი, რომ ეს აუცილებელი იყო ისევ და ისევ ჩვენთვის- არა იმდენად ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, რომელსაც სულ მალე ალბათ ისედაც გამოვაცხადებდით- არამედ მიმქრალი ეროვნული სულის გამოსაღვიძებლად.

მაგრამ- რომ გაჰყოლოდა ერი პატრიარქს...

სიტყვებით ვერ გამოვთქვამ ხოლმე, რამხელა ბედნიერებასა და სიამაყეს განვიცდი საქართველოს ისტორიის კითხვისას. დიახ, ქართველების კისერზე უამრავი მძიმე და სამარცხვინო ცოდვაა, მაგრამ ჩემთვის უფრო ფასეული სხვა რამეა. გადავშლი ჩემი ქვეყნის მატიანეს და მის გადაფურცვლასთან ერთად თითქოს ეპოქის სულსაც ვგრძნობ- ვხედავ, როგორ იბრძვის ვახტანგ გორგასალი დაქსაქსული ქვეყნის შესაკოწიწებლად, ვუყურებ, როგორ ადის ტახტზე 16 წლის (!!!) დავით აღმაშენებელი, აღტაცებით შევცქერი, როგორ მიუძღვის წინ ბრძოლისთვის გამზადებულ ლაშქარს მეფე თამარი, როგორ ლოცულობს მუხლმოდრეკით ღვთისმშობლის ხატის წინ. იქნებ ზედმეტად პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ მე ამას ნამდვილად განვიცდი. განვიცდი და ყოველდღე, როცა მივაბიჯებ რუსთაველის პროსპექტზე, ყოველდღე, როცა ავირბენ ჩემი საუკუნოვანი უნივერსიტეტის კიბეებს, ყოველდღე, როცა სწავლა და ლექციების მოსმენა მეზარება, ყოველდღე, როცა ჩემი წილი პასუხისმგებლობის ტვირთვა მიჭირს, ყოველდღე, როცა ვივიწყებ ჩემს მოვალეობებს და ვცდილობ, შვებას მივეცე, ვახსენებ ჩემს თავს ვისი ღვიძლი შვილი ვარ: ხალხის, რომელმაც ანდერძად დამიტოვა- „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილს!“ „ჯვარითა მძლეველი- მე დავით ვარ უძლეველი!“

ეს ყველაფერი ახლა მახსენდება- 9 აპრილს, როცა ვდგავარ ჩემი ქვეყნის უახლესი ისტორიის წინ, როცა თვალნათლივ ვხედავ, როგორ შემზარავად გრუხუნებს ქუჩის ბოლოდან მომავალი რუსული ტანკები, როცა ვხედავ ჩემი თანამოძმეების სანთლებივით აკიაფებულ თვალებს, როცა ჩამესმის სიკვდილისთვის თვალებში მომზირალი ჩემი გაუტეხელი სამშობლოს ბოლო ხმაზე ამღერებული ამაყი სიმღერა, როცა ვხედავ, როგორ ჩეხენ უმოწყალოდ ჩემს ტოლ გოგოებს, როცა ვგრძნობ, როგორ მებჯინება ყელში საავდროდ გამზადებული ცრემლი, ვფიქრობ:

რომ გაჰყოლოდა ერი პატრიარქს...

„ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს,“- ეს იმ ილიამ გვითხრა, ჩვენივე ხელით რომ მოვკალით. და იქნებ ახლა მაინც, როცა მავთულხლართებს ყელში გვიჭერენ ჩვენი უკანასკნელი

განწირული ხრიალის გაგონების იმედით, ახლა მაინც, როცა ჩვენი ზღვა და მიწა „ჩვენი ზღვა და მიწა“ აღარ არის, ახლა მაინც, როცა ალაზნის გაღმა „გასხვისებული საქართველოა“, ახლა მაინც, მშობლებო და მასწავლებლებო, გთხოვთ, გემუდარებით, გეხვეწებით, მოუყევით ბავშვებს, თქვენს შვილებს, ჩვენი ერის შვილებს, საქართველოს ისტორია. მოუყევით გზნებით, იმ სულისკვეთებით, რა სულისკვეთებითაც შეაკლეს თავი ქვეყნის თავისუფლებას ჩვენი ეპოქის გმირებმა. მხოლოდ ამ სულით შეიძლება, გავაღვივოთ ერთმანეთში ის საოცარი და ენით გამოუთქმელი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება.“

მე კი არ ვიცი, არ ვიცი, რა მოხდებოდა, მართლაც რომ გაჰყოლოდა ერი პატრიარქს...

წვიმამ უფრო დაუშვა. ცა მოიქუფრა. წასვლის დროა-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს. ხალხი მაინც არ აპირებდა დაშლას. გამიხარდა, რომ ჩემი ყვავილებიც შეერია 1989 წლის სევდიან მოგონებებს. არავინ თქვას, რომ აზრი არა აქვს ამ დღეს რუსთაველზე მისვლას. თითქოს გავცოცხლდი, თითქოს ხელახლა დავიბადე. ღრმად ჩავისუნთქე 9 აპრილის წვიმიანი დღის ჰაერი, ფილტვები ნესტიანი ყვავილების სუნით ავივსე და ვიგრძენი, ვიგრძენი, რომ ადამიანი ვარ.

სახლში დაბრუნებისას წარსულის მოგონებებმა წვიმასთან ერთად გადაიღო. მზემ გამოიხედა და მეც ხვალინდელ დღეზე დავიწყე ფიქრი. იმ მომავალზე, რომელიც ჩემს წარმოსახვაში ისევ და ისევ ჭეშმარიტი ქართველების თავგანწირვაზე თუ აიგება. მოვაბიჯებ წვიმისაგან გადარეცხილ რუსთაველზე და მკაფიოდ ჩამესმის დედაჩემის მზით გავსებული ხმა:

„დაიცხრე, შვილო, ეგ წუხილი და ძრისხანება,
წინაპრებივით უმკურნალე ქვეყნის იარებს,
შენი ცხრა შვილის ცხრა ჰერანგი მტრების ჯინაზე
სამშობლოს ცაზე დროშასავით აფრიალე!“

სოფიო მენთეშაშვილი

მიწის რეგისტრაციის პროცესში აზომვითი ხარჯები ბიუჯეტიდან დაფინანსდება

როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფოს ქონების ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, საამზომველო კომპანიებმა სპეციალური კითხვარის შევსება რამდენიმე დღეა დაიწყეს.

„მათ უნდა შეავსონ სპეციალურად მომზადებული ონლაინ კითხვარი. ჩვენ გვაქვს შეთავაზება კონკრეტული ფასებით. გაიმართა შეხვედრა ამზომველებთან, რომელთა მთავარი მიზანი იყო მათი პრობლემების მოსმენა და შენიშვნების გათვალისწინება. ამ ეტაპზე დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს, ამზომველების ჩართულობა დიდია და ჩვენ ვცდილობთ, ყველა მოსაზრება გავითვალისწინოთ”, - განაცხადეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.

უწყების ცნობით, მონაცემების დამუშავებისა და ბაზრის კვლევის შემდეგ უკვე კონკრეტული დეტალები გახდება ცნობილი.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უფლებადაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების ხარჯებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო დაფარავს.

მშვიდობა დედამიწას!

მითხრეს, ვასილ ქადაგიძემ 90 წელს გადააბიჯა, ღვაწლმოსილი ადამიანია, იქნებ მასზე წერილი დაწეროთო. ვიფიქრე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იქნება და გამარჯვების დღესთან დაკავშირებით დავწერ-მეთქი. სახლში ვესტუმრე მხცოვან ადამიანს. ვაჟის ოჯახთან ერთად ცხოვრობს, მოვლილი და პატივნაცემია. საზრუნავ-საფიქრალი ნაკლები აქვს, ყველაფრით უზრუნველყოფილია. ბედნიერია, შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით სავსე. მის შემყურეს თვალწინ დამიდგა სათნოების სახლის ბენეფიციართა შეწუხებული, გაწამებული სახეები, რომლებიც დარსა თუ ავდარში, ზაფხულსა თუ ზამთარში ხელჩანთებით სადილს ეზიდებიან, რათა გამოიკვებონ და იარსებონ. მართალია, სახელმწიფოს მხრიდან ეს დიდი მადლია, მაგრამ ოჯახურ სიმყუდროვეს და დაფასებას ხომ მაინც თავისი ხიბლი აქვს. ჰოდა, ეს ხიბლი არ აკლია ვასილ ქადაგიძეს, რომელსაც სამიოდ თვეში 91 წელი შეუსრულდება.

„არ უყვარს, როცა მის ოთახში შემყავს სტუმარი, დაგველოდეთ და გამოვიყვანო“- მითხრა ოჯახის რძალმა ქალბატონმა ნანამ და მისაღებში შემიძღვა. ასაკიდან გამომდინარე, დაუძლურებულ მოხუცს ველოდი, მაგრამ კარი გაიღო და პიჯაკში გამოწყობილმა, წელში გამართულმა მამაკაცმა მხნედ შემოაბიჯა ოთახში. ოთხმოცდაათი წლისა მას არაფერი ეტყობოდა, მხოლოდ სმენის პრობლემა აწუხებს. ისე, გონებაც ემორჩილება და მხედველობაც შესაშური აქვს. უსათვალოდ კითხულობს და ჩემს მიერ წერილობით დასმულ ყველა კითხვაზე ზუსტ და ადექვატურ პასუხს იძლევა.

– 1925 წლის 15 ივლისს დავიბადე ზემო მაჩხაანში. ჩემი მშობლები ანდრია ქადაგიძე და ელენე ნასრაშვილი მოწინავე კოლმეურნეები იყვნენ. მახსოვს, დედაჩემი სოფლის მეურნეობის საკავშირო გამოფენაზე მიიწვიეს. ჩიხტიკოპით თავმორთული გაემგზავრა მოსკოვში. ძლიერი აღნაგობის, მხნე და სიმართლისმოყვარე ქალი იყო და „ოთაარანთ ქვრივი“ შეარქვეს. შრომობდნენ და, ღმერთის მადლით, ლუკმა-პური არ გვიჭირდა. ხუთი შვილი გაზარდეს. უფროსი ქალიშვილები - მარუსა და თამარა სოფელ გამარჯვებაში იყვნენ გათხოვილები, ფიროსმანაშვილების და სულაშვილების რძლები იყვნენ. მერე ტყუპი ბიჭები- შალვა და ვანია მოდიოდნენ. მე ნაბოლარა ვარ. მშობლები ხელს გვიწყობდნენ სწავლაში. შალვამ უმაღლესი დაამთავრა, სულ თანამდებობაზე მუშაობდა წითელწყაროში. ვანია ტრაქტორისტი იყო. მე 10 კლასი წარმატებით დავამთავრე და ქვემო მაჩხაანის ტექნიკუმში მეორე კურსზე ჩამრიცხეს. მოვიზარდე თუ არა, არდადეგებზე სულ კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, იქიდან გამოვიჯეკე და შრომასაც მივეჩვიე. 18 წლისა ვიყავი, ჯარში რომ გამიძახეს. 1943 წელი იყო, ომი მძვინვარებდა.. კურსები გამატარეს და სამეკავშირეო ნანილში ჩამრიცხეს, ტელეფონისტი ვიყავი, ბარათებსაც დავატარებდი. ახალგაზრდა ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევთან, როგორც პოლიტხელთან, საიდუმლო ბარათები პირადად მიმიტანია. ვიბრძოდი სტალინგრადთან, როსტოვთან, ჩელიაბინსკში, სევასტოპოლში. მრავალი ჯილდო მაქვს მიღებული–გვიყვება ბატონი ვასილი. თან ბრძოლის ეპოზოდებს და იმ ადამიანებს იხსენებს, ვისთან ერთადაც წავიდა ფრონტზე, ვისთანაც იბრძოდა.

- როდის დაბრუნდით ჯარიდან?

- 1947 წელს დავბრუნდი, რადგან ჩვენ, 1944 წლის შემოდგომაზე ფინეთში გადაგვიყვანეს. იქ შაქრის ჭარხლის დიდი მოსავალი იყო და მათ ვეხმარებოდით. 9 მაისმაც ფინეთში მომისწრო. ამ დღის აღსანიშნავად სურათიც გადავიღე.

- როგორ ცხოვრობდით, რას საქმიანობდით ჯარიდან დაბრუნების შემდეგ?

- ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. 1948 წელს ოჯახი შევქმენი თამარ ტალიაშვილთან ერთად. მერე საცხოვრებლად წითელწყაროში გადმოვედით, მაგრამ 1960 წლამდე ისევ ზემო მაჩხაანის კომეურნეობაში ვმუშაობდით მეც და ჩემი მეუღლეც. მაჩხაანელების ნაკვეთები, ძირითადად, შირაქში, დიდნაურსა და ჩანკაანზე იყო. ამიტომ მანქანებს ხალხი სამუშაოდ დილა-საღამო, ხან კი კვირით კვირამდეც, წითელწყაროს გავლით დაჰყავდა. ნიკო მამაიაშვილის (ღმერთმა აცხონოს მისი სული, სამართლიანი და კარგი თავმჯდომარე იყო) მითითებით ჩვენ ხიდთან ველოდებოდით ხოლმე მანქანას და იქ ჩვენთვის ადგილი ყოველთვის იყო შენახული. მე საველე საწყობის გამგედ ვმუშაობდი, მწონავ-აღმრიცხველადაც. ბარაქიანი მოსავალი მოდიოდა. ღიად გვეყარა მარცვალი კალოზე და დარაჯიც კი არ გვყავდა. ვერავინ გაბედავდა და არც იკადრებდა მოპარვას. ყველაფერი ნაწილდებოდა – ხორბალი, ქერი, მზესუმზირა, ზეთი, ყველი , ხორცი და თაფლიც კი. ხალხი მშიერი არ იყო, ყოველწლიურად ცხოვრება წინ მიდიოდა, ვაშენებდით სახლებს, ვაწყობდით ოჯახებს, ვზრდიდით შვილებს. ის იყო ცუდი, რომ შვილიერებამ იკლო, 2 ან 3 შვილის ზევით აღარავინ აჩენდა, მით უმეტეს, თუ ქალ-ვაჟი ჰყავდა. მეც ორი შვილი გავზარდე- ნათელა და ელგუჯა. თავისი წილი განათლებაც მივეცი - ნათელა ექთანი იყო, ელგუჯა- მშენებელი. 1960 წელს სამუშაოდ წითელწყაროს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოში გადმოვედი. ხან ბლოკის საამქროში, ხან კირის ქარხანაში ვმუშაობდი. თავი არსად და არასდროს შემირცხვენია. უამრავი მადლობის სიგელი და ჯილდო მაქვს მიღებული და მეამაყება, რომ მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლე პატიოსან შრომაში გავატარე.

ვასილ ქადაგიძე და ალექსი ჯავახიშვილი

- გასულ წელს 90 წლისთავი გადავუხადეთ და მაშინ ჩამოვართვი პირობა, რომ საოჯახო საქმესაც შეელეოდა. სულ თოხი, ბარი, ცული და წალდი ეჭირა ხელში, არ ისვენებდა: მოჰყავდა ბოსტნეული, შეშის დაჭრას არ მაცდიდა, მთელი დღე რაღაცას კუკუნებდა ეზოში. ცული დავუმალე, მედავებოდა, რა უყავიო, დიდი მშრომელი და მოუსვენარი ადამიანია, - ერთვება საუბარში ელგუჯა და მეუღლესაც იმოწმებს.

- ტკბილი ადამიანია, თავს არ შეგაბეზრებს, ვიდრე სმენა დაუქვეითდებოდა, ტელევიზორს სისტემატურად უყურებდა, ყველაფრის საქმის კურსში იყო და ისე საღად მსჯელობდა, ახალგაზრდას შეშურდებოდა. ახლა, ძირითადად, გაზეთებს კითხულობს (უსათვალოდ) და ქვეყნის ცხოვრებას თვალს ადევნებს, - ახასიათებს ნანა მამამთილს.

- რამდენი შვილიშვილი გყავთ, ბატონო ვასილ?

- ჰო, მდიდარი და ბედნიერი კაცი ვარ. ელგუჯას სამი გოგო ჰყავს: თამარი, მარინა და ნინო, ნათელას - რამაზი და თინიკო. მაგათი მონაგარი 12 შვილთაშვილია. ორი უფროსი შვილთაშვილი უკვე 23 წლისები არიან, უმცროსი კი - 7 თვის. 5 ბიჭი და 7 გოგოა. ყველას სახელები ვიცი და სახეზეც ერთმანეთში არ მეშლებიან. ღამე, როცა დასაძინებლად ვწვები, პირჯვარს ვიწერ და ღმერთს შევთხოვ, მშვიდობა იყოს დედამიწაზე და ჩვენს ქვეყანაში, ჯანმრთელები და ბედნიერები მყავდნენ სუყველანი.

- როგორც ომის მონაწილისათვის, ალბათ, მშვიდობას დიდი მნიშვნელობა აქვს

ნვევამდელთა ერთი ჯგუფი ზემო მაჩხაანიდან

და 9 მაისი დიდი დღესასწაულია თქვენთვის?

- ზემოთაც გითხარით, ღმერთს პირველ რიგში მშვიდობას შევთხოვ. რაც შეეხება 9 მაისს, მართლაც, წლიდან - წლამდე ველოდები ამ დღეს. ყოველთვის ვმონაწილეობ ამ დღეს გამართულ მიტინგებში, ხშირად სიტყვითაც გამოვდივარ, რადგან მჭექარე ხმა სიბერემდე შემომრჩა. ამ დღეს ცოტა-ცოტა საჩუქრებს ყოველთვის ვღებულობ-დით, გასულ წელს კი 1000-1000 ლარით მთავრობამ დაგვაჯილდოვა, 150 ლარით – ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ. ეს დიდი დაფასება იყო ჩვენთვის. დიდი მადლობა ყველას. საერთოდ კი, საყოველთაო პენსიაზე 44 ლარი ომის მონაწილისა მემატება და თვეში 204 ლარს ვღებულობ. თითქოს ცოტა არ არის, მაგრამ არც საკმარისია, რადგან ხანდაზმულ ადამიანს ბევრი წამალი და ხელშეწყობა სჭირდება. წამალი კი, მოგეხსენებათ, როგორი ძვირია. გული იმაზეც მწყდება, რომ ყოველწლიურად ნაკლებნი ვრჩებით. შარშან მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მხოლოდ ექვსი კაცი ვიყავით ზეიმზე, წელს რამდენი

1945 წლის 9 მაისი, ფინეთი, ქ. გროდნო

- გვასწავლიდნენ, რომ შრომამ შექმნა ადამიანი. დიახ, ზომიერი ფიზიკური შრომა ყველასათვის სასარგებლოა, ორგანიზმი იწრთობა და კაჟდება. საკვების ზომიერი მიღებაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. დღემდე 6-7 საათის მერე აღარ ვჭამ. დღისით უნდა გვეღვიძოს და ღამე გვეძინოს, ახლანდელებს შუაღამემდე ღვიძავთ და შუადღემდე სძინავთ! თითო- ოროლა ჭიქა ნაღდი ღვინო სასარგებლოა, ლოთობა და სიგარეტი-ჯანმრთელობის მტერი. 60 წელზე მეტია, სიგარეტი პირში არ ჩამიდვია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ სიმყუდროვეს და ერთიანობას. მადლობელი ვარ, რომ ტკბილი ოჯახი მაქვს, კარგი შვილი და რძალი მყავს, მივლიან და მიფრთხილდებიან. ყველას ვუსურვებ, ჩემნაირად ბედნიერად დაბერდნენ.

- ღმერთმა თქვენც კარგად გამყოფოთ. ასი წლის იუბილე მოგველოცოს.

ნაირა გორაშვილი.

ქართული ენის დღე პირველ საჯარო სკოლაში

ქართული ენა არის ღრმა, უნაჰირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლადამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ევავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

(ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი)

გამორჩეულად აღნიშნეს ქართული ენის დღე 14 აპრილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის N 1 საჯარო სკოლის IIბ) კლასის მოსწავლეებმა. ბავშვებმა ჟიურს წარმოუდგინეს შოთა ნიშნიანიძის ლექსი „დედა ენა“. მათმა პედაგოგმა, მარინე ინასარიძემ, რომლის პედაგოგიური დიდაქტიკა მართლაც ინოვაციებით და მხატვრული შემეცნებითობის დიდოსტატობით გამოირჩვა, ამ დღის მაღალკვალიფიციურად აღნიშვნისთვის მართლაც დიდი ძალისხმევა ჩადო. პედაგოგის გამოწვევა საინტერესოდ და მომხიბვლელად ჟღერდა, ღონისძიებას კონკურსის ხასიათი ჰქონდა, რაც პირდაპირ ავალებდა ყოველ აღსაზრდელს მობილიზებული და სხვაზე უკეთესი ყოფილიყო მისი გამოსვლა. მოსწავლეებს მხატვრულად უნდა წაეკითხათ ნიშნიანიძის ლექსი „დედა ენა“. მანამდე კი, იყო ფართო მიმოხილვა, თუ რომელ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სად არის ჩვენი ქვეყანა რუკაზე, რომ ის კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შუა მდებარეობს. ისაუბრეს საქართველოს ახლანდელ დედაქალაქზე და ძველი სატახტო ქალაქი მცხეთაც მოძებნეს რუკაზე. ქართველების ეროვნული ენა ქართულიაო, აღნიშნეს ბავშვებმა და პედაგოგი აჩვენებს დაფაზე ფართოდ გაკრულ ფარნავაზ მეფის ფოტოს, რომელმაც „ქართველს წიგნი პირველი მისცა“, შემდეგ მასწავლებელი უხსნის ბავშვებს, რომ დამწერლობამ რამდენჯერმე იცვალა სახე, იყო ნუსხური, ნუსხა- ხუცური, მთავრული და მხედრული.

-„ ყველაფერი კი, ასე დაიწყო ჩემო პატარებო, თბილისში 1978 წლის 14 აპრილი იდგა, როდესაც საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება შეეცადა უხეშად ჩარეოდა ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში შესატან ცვლილებაში და მოისურვა სახელმწიფო ენად ქართული აღარ ჩაეწერათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი მამა-პაპის სისხლით შემონახულ, მსოფლიოში უნიკალურ ენად ცნობილ ქართულ ენას არსებობის საფრთხე შეექმნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველებს ქართულად საუბრის და წერის უფლება აღარ ექნებოდათ. სწორედ 1978 წლის 14 აპრილს პროფესორ-მასწავლებლებმა გადაწყვიტეს თავისი სიტყვა ეთქვათ ერის ისტორიაში. დიახაც, რატომ უნდა დავთმოთ ჩვენი ენაო და 15 000 სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი, რუსთაველზე შეიკრიბა მშვიდობიანი მანიფესტაციისთვის, მათ მალე შეუერთდნენ სტუდენტთა მშობლები, საზოგადო მოღვაწენი, პედაგოგები, მოსამსახურენი და მთლიანობაში 100 000 ქართველი შეეწინააღმდეგა კომუნისტურ მანქანას. ქართველთა ერთიანობამ და მათმა ძლიერმა სურვილმა დაეცვათ ქართული ენა, ჩვენი ენა გადაარჩინა და დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს, ვისაუბოთ და ვწეროთ ქართულ ენაზე,“-ასე მარტივად და გასაგები ენით მოუთხრო მარინა მასწავლებელმა პატარებს ქართული უახლესი ენის ისტორია, ხოლო შემდეგ შოთა ნიშნიანიძის პორტრეტი გააცნო მათ. პატარებმა უკვე იცოდნენ ნიშნიანიძის მცირე ბიოგრაფია და პედაგოგის კითხვებს, რომელიც პოეტის ცხოვრების ირგვლივ პასუხებს მოითხოვდა, სხარტად პასუხობდნენ. დასასრულს თითოეულმა მოსწავლემ რიგრიგობით წარმოთქვა ლექსი „დედა ენა“. საუკეთესოდ დეკლამატორობდნენ კახი პოპიაშვილი, გიორგი ქადაგიშვილი, ქეთევან მეხრიშვილი, ლუკა მენთეშაშვილი, მარიამ ტოკლიკიშვილი, საბა უზუნაშვილი, გიორგი ლოლაშვილი, ნანუკა პავლიაშვილი, ანა ჩიტიშვილი, ლაშა ჭუბაბრია, ნიკოლოზ სეფიაშვილი, გიორგი ღვედაშვილი, გურამ გოგაშვილი, რომლებიც გამარჯვებულებად გამოცხადნენ და სიგელებით დაჯილდოვდნენ. ბავშვებს აფასებდა საგანგებოდ მოწვეული ჟიური და სკოლის პედაგოგები, ესენი გახლდნენ სკოლის დირექტორი ეთერ ოთარაშვილი, პედაგოგები. ნინო ოქროპირიძე, ლეილა ფიროსმანაშვილი, ციცო კევლიშვილი, ქეთვან დავითაშვილი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სპეციალისტო ნინო სიფრაშვილი. საღამოს ფავორიტი კონკურსანტი გახდა ქეთევან მეხრიშვილი, რომელმაც ჟიურის მოწონებასთან ერთად ასოციაცია „დედოფლისწყაროს ქალების“ სიმპატიაც დაიმსახურა, რისთვისაც მას ამ ორგანიზაციის სახელით გადაეცა წიგნი „გიორგი ბრწყინვალე“.

წარმატებულები და ლიდერები არ იბადებიან, მათ პედაგოგები და მშობლები ერთობლივად ზრდიან. მართალია, ეს იყო ერთი პატარა საწყისი იმ დიდი საქმისა, რომელსაც საუკეთესო მომავლის საძირკველშივე სწორად ჩამოყალიბება ჰქვია, მაგრამ ყოველდღიურად პედაგოგის და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობა ამ პატარ-პატარა საქმეებს დიდ საქმედ აქცევს და საბოლოო ჯამში მოვიღბთ მიზანდასახულ, ჭეშმარიტ მამულიშვილებს. ვფიქრობ, რომ პედაგოგის იდეა ჩანაფიქრშივე სწორია და მისი ჩაგდებული თუნდაც ერთი მარცვალი, სამომავლოდ თავის ნაყოფს გამოიღებს.

ლალი მეხრიშვილი

მონატრება

თამაზ (ბათია) ტუსაშვილი



აპრილის თვე, რომელიც ძალიან გვიყვარდა, მეათედ მოვიდა უშენოდ. ჩვენო ძვირფასო თამაზ, 18 აპრილი შენი დაბადების დღეა. შენ მხოლოდ 49 წლის შესრულდებოდი. ზარივით გაისმა შენი ტრაგიკული სიკვდილის ამბავი. ძნელია, როცა ვიხსენებთ, თუ როგორი ზეიმით აღვნიშნავდით ჩვენს ოჯახში შენს დაბადების დღეს. გიყვარდა ბევრი სტუმრის გულთბილი მიღება და გამასპინძლება. ცხოვრება გრძელდება. შენს ოჯახს ახალი წევრი, შენთვის უცნობი რძალი და ორი შვილიშვილი შეემატა, რომლებიც მხოლოდ სურათით გიცნობენ. ერთი სული აქვთ, შენი დაბადების დღე ძველებურად ხალხმრავლობით აღინიშნოს ჩვენს ოჯახში და ამით გამოხატონ შენდამი უდიდესი პატივისცემა. შენი ერთადერთი შვილი, ილიკო, ძალიან განიცდის უშენობას. გაგვანადგურა შენმა დაკარგვამ შენი მშობლები და მეუღლე, რომლებიც ვცხოვრობთ მხოლოდ იმ იმედით, რომელსაც მარადიულ სასუფეველში შეხვედრა ჰქვია.

მონატრებით, შენი ოჯახი.

კლარა ოზაშვილი, გუგული, რუსუდან, ალეკო ალადაშვილები; ლალი, ნიკო თულაშვილები; მეგი, სტეფანე ოზაშვილები; თამუნა, ირაკლი ლოლაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი სიძის

მერაბ სეფაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს მანანა ოზაშვილს და შვილებს – შორენას და გიორგის.

დაიკრძალა 16 აპრილს, ყვარელში.

ნინა ბუჩუკური

7 აპრილს ერთი წელი შესრულდა, რაც ჩემს გვერდით აღარ ხარ, ჩემო დედიკო. 11 აპრილს მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე აღდგომის დღეს. შენ ყოველთვის ინახავდი მარხვას, უფალი გაძლევინებდა ნებისმიერ განსაცდელს.

ბუნებამ გამოიღვიძა,
გაზაფხულს ეღოდი, დედა,
ისმის ფრინველთა ჭიკჭიკი,
შენ კი აღარ ხარ, დედა.
გამთენიისას დამტოვე მარტო,
ვეღარ გიშველე, დედა.

ნატვრაში სულს რომ ებრძოდი,
ცრემლი შეგაშრა თვალზე.
ჩემო სიცოცხლის ნატრულო
დედა,
დაღლილო დარდით და ფიქრით.

დედა, ბუნებამ გამოიღვიძა, გაზაფხული მოვიდა, შენი საყვარელი თვე, მაგრამ ძალიან მტკივნეულია ეს გაზაფხული ჩვენთვის, შენი შვილებისათვის... რით მოგილოცო გაზაფხული, დედა, იებით თუ ცრემლებით? შენ ხომ გაზაფხული გიყვარდა, მაგრამ ვეღარასოდეს მოუსმენ ფრინველთა ჭიკჭიკს. შენ სკოლა წარმატებით დაამთავრე, პედაგოგობა გინდოდა, მაგრამ გაჭირვებამ და ობლობამ შეგიშალა ხელი, ეს ყველაფერი აუსრულებელ ოცნებად დაგრჩა...გიყვარდა ლიტერატურა, პოეზია, წიგნების კითხვა, შენი რომანტიული ბუნების წყალობით ჩვენც გვილამაზებდი ცხოვრებას.

არასოდეს დაგივიწყებთ შენი შვილები, მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს და უფალს შევევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი ნატრული შვილები: ნანა და ლუიზა; **შვილიშვილები:** ლადიკო და გიორგი.

მონატრება

ლია გომელაური

უშენოდ...

უშენოდ დადგა აპრილი, შენი დაბადების დღე. რაც დრო გადის, უფრო მენატრები და ეს მონატრება მწარდება, როცა ვეღარ გხედავ, ვერ გნახულობ...

ჩემო თბილო, კეთილო, პირდაპირო, კაცთმოყვარე, იმედიანო და სამართლიანო მეგობარო, უცრემლოდ ვერ გიხსენებ, მტკივა უშენობა, ძალიან მაკლიხარ.

უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

თამარ აბულაძე

სიყვარული შობს სასწაულებს...

საქართველოში გაზაფხულია, სიყვარულის დღე... ბევრი ერთმანეთს კიდევ ერთხელ უხსნის სიყვარულს... ზოგის აზრით, ამ მარადიულ გრძნობას სპეციალური დღე და თარიღები არ სჭირდება, როდესაც გიყვარს, ყოველი დღის გათენება გიხარია და უბედნიერესი ხარ, რადგან გიყვარს....

გიყვარდეს ეს ნიშნავს სამყაროს ხედავდე გულით, გრძნობდე მთელი შენი ემოციით და ყოველი დღე იყო გაჯერებული ამ უხილავი ღმერთით.

სიყვარული სათნოებაა და ადამიანურ სიკეთეს, თანაგრძნობასა და ერთგულებას წარმოადგენს. ეს პიროვნული მიჯაჭვულობის ემოცია რელიგიურ კონტექსტში არა მხოლოდ სათნოება, არამედ ყოველი არსების საფუძველი და ღვთიური კანონის არსია.

რატომ არის ეს კონკრეტული სიყვარული განსაკუთრებული? განსაკუთრებულია არა იმით, რომ ლამაზია, მშვენიერია, ძალიან ემოციურია... ქალისა და კაცის სიყვარულის გამო არა მარტო ხელოვნების შედევრები იქმნებოდა, არამედ ომებიც კი იწყებოდა....

როგორ განიცდიან თანამედროვე სამყაროში ამ მარადიულ გრძნობას?

* * *

(ჩანახატი)

ნუ ელოდები გათენებას, აისობას, მზის ამოსვლას და ჩიტების ფრთხიალს სარკმელთან, შენ შეგიძლია, თვით სიყვარულს ანათებდე, შენივ სულიდან და ყველა სხვა ფერი სამუდამოდ გაჰყარო ბნელთან...

მიდი უთხარი, რომ ღამეულ ნეტარებას, რომ ამ წამებს ნაოცნებარს, რომ ამ აისებს,

თავადვე შექმნი, შენ იქნები ის მზეც, ის მთვარეც გულს რომ მისცემს, რომ ახარებს, რომ ამაისებს.

შენ დაასწარი ონავარ სხივს, ვიდრე იგი შენი სატრფოს წამწაებზე შეჰკიდებს ჩრდილებს, ააფერადე, ამოიგდე გული სიტყვებით, და მერე ჩუმად შეერიე უსასრულო ტრფობის ნაპირებს...

უთხარი, რომ ეს ცა, რომ ეს მიწა, რომ სამყარო ისე ციცქნა, ისე მცირე და მისხალია, შენს სიყვარულთან, შენს ნატვრებთან და ოცნებებთან...რომ მათზე დიდი, ირმის ყელთან შექარგული ციცქნა ხალია...

რას ელოდები, წუთი-სოფელს გამოსტაცე შენი წილი გათენება, დაღამება, ღრუბელს–წვიმა, აპრილს–კვირტები,

იყავი ლაღი, ამსუბუქდი შენივ სულივით, ხან უკვალავიც გადათელე, ნაბიჯს დიდხანს ნუ უკვირდები.

უთხარი მიდი, როგორ გიყვარს, როგორ ხარობს შენი გული, ეს ფერები დაანახე გაციებულ ადამის მოდგმას,

რომ თვით ღმერთია სიყვარული, სწორედ იგი, თქვენ ორს შორის მანათობელ მზესავით რომ დგას.

ჩქარა უთხარი, თუ რამდენი სილაღეა შენს ფიქრებში, შენს მზერაში, ნუკრის მსგავსად შეშინებულ იმის თვალებში,

რომ მას ვერასდროს ვერ წალეკავს მოვარდნილი სიყვარულის ტრფიალება, ანდა, ზღვარზე გადასული ქარის თარეში.

ნუ ელოდები გათენებას, თუ ღამეა შენ აანთე ათასფერი სულის ნათურა და რეალურად აოცნებე მერე იმ წამზე,

უთხარი, რომ ის ერთადერთია, როგორც სხეულში ერთი გული, ანდა, მფარველი ანგელოზი ამ ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზე.

ნანა მეფარიშვილი, **პოეტი**

ხელოვნების ღია გაკვეთილზე N1 საბავშვო ბაღში

15 აპრილს N1 საბავშვო ბაღს ხელოვნების ღია გაკვეთილზე ვესტუმრეთ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ასეთი შერეული ტიპის, მოცულობითი და სხვადასხვა აქტივობებით დატვირთული ხელოვნების გაკვეთილი ექსკლუზივი იყო რაიონის საბავშვო ბაღების ისტორიაში. ამ სისტემაში განხორციელებულმა ძირეულმა ცვლილებებმა, არამხოლოდ ინფრასტრუქტურისა და კვების მხრივ, არამედ მეთოდოლოგიურადაც, მკვეთრად შეცვალა პედაგოგთა მოტივაცია, ისინი

დღეს ბევრად მეტს მუშაობენ თვითგანვითარებაზე და შედეგებიც სახეზეა. მათ მიერ ჩატარებული თითოეული ღონისძიება კიდევ ერთი სიახლე და ახალი დღეა ჩვენი მომავალი თაობების ცხოვრებაში.

N1 საბავშვო ბაღში ყოველთვის თბილი, ხალისიანი და ჯანსაღი გარემოა შექმნილი, აქ თითოეული პედაგოგი ორიენტირებულია პატარა აღსაზრდელების განწყობასა და განათლებაზე, მათ გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ, ესთეტიურ განვითარებაზე, რაც დიდწილად ბაღის ხელმძღვანელის, ქალბატონი ქეთინო დოლიძის დიდი დამსახურებაცაა. დიახ, ესთეტიურ განვითარებას ეძღვნებოდა 4-5 წლიანთა ჯგუფის პედაგოგის დალი მაძღარაშვილის მიერ ჩატარებული ხელოვნების ღია გაკვეთილი, რომელმაც კიდევ ერთხელ გვამოგზაურა ჩვენს ბავშვობაში და დაგვარწმუნა, რომ ჩვენს შვილებს ბევრად მეტი შესაძლებლობები და საშუალებები აქვთ დღეს, ბევრად უკეთესი პირობები, მთავარია მოინდომონ, ისწავლონ, განვითარდნენ...

ერთსაათიან გაკვეთილზე ბავშვებმა ჯერ პედაგოგის მიერ დასმულ კითხვებს-რა არის ხელოვნება, აპლიკაცია, ქორეოგრაფია, მუსიკა, ხატვა და ა. შ. გასცეს ამომწურავი პასუხები, შემდეგ კი თვალსაჩინოებების საშუალებებით თვითონ იმუშავეს და შეასრულეს აპლიკაციები, დახატეს, პლასტელინებით შექმნეს ულამაზესი ნამუშევრები, გაეცნნენ გობელენის და მოქსოვილი ხალიჩის ნიმუშებს, ბოლოს პედაგოგმა მათ ხელოვნების კიდევ ერთი დარგი გააცნოთ სხვადასხვა თოჯინების მეშვეობით და აუწყათ, რომ ხელოვნების ამ სფეროს „თოჯინების თეატრი“ ეწოდება, რომ მას ძირითადად ბავშვებისთვის მართთავენ და ამისთვის სპეციალურ თოჯინებს ამზადებენ. მართლაც, სულ რამოდენიმე წუთში დალი მასწავლებელმა და თანაშემწე ელენე პოპიაშვილმა ბავშვების დახმარებით დაამზადეს კომბლეს, მგლის, დათვის, მელას თოჯინები და მინი სპექტაკლი“კომბლეც“ დაიწყო...

ამ ყველასათვის საყვარელმა ზღაპარმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა პატარა აღსაზრდელებზე და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ღია გაკვეთილს სხვადასხვა ქალაქის საბავშვო ბაღებიდან მოწვეული პედაგოგები ესწრებოდნენ. ესეც ერთგვარი ახალი მეთოდია სკოლამდელი აღზრდის პრაქტიკაში და მივესალმებით ამ ფაქტს. დიახ, ჩვენმა პედაგოგებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ ერთმანეთისგან, როდესაც ხელში აღზრდის სადავე გიკავია და მართავ, იქ იდეების მითვისებაზე და კონკურენციაზე საუბარი გამორიცხულია, აქ მთავარია, ჩვენი ბავშვების, ჩვენი მომავალი თაობების ჯანსაღად და სწორად აღზრდა, მათთვის ყველა სიკეთის გაღება, რაც შეგვიძლია ნებისმიერმა ჩვენთაგანმა გავიღოთ, რათა თითოეულ მათგანს ჰქონდეს ლაღი და ბედნიერი ცხოვრება!

ელზა ხარაშვილი

ულოცავენ!

მაია ყოჩიაშვილს!

ქალბატონო მაია, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულს, სიყვარულს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში. სულ გახარებული და ბედნიერი ყოფილიყავით თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად. მრავალი დაბადების დღე მოგველოცოს. უფალი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

პატივისცემით,
სოფელ ხორნაბუჯის ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

მაია ყოჩიაშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად! წარმატებები იყოს თქვენი თანმდევი მუდამ!

დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები

მაია ყოჩიაშვილს!

სამრეკლოს ბაგა-ბაღის თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს ქ-ნ მაია ყოჩიაშვილს. უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს თავის საყვარელ ოჯახთან ერთად, წარმატებებს ყველგან და ყველაფერში.

მადლიერება

მარტის თვეში სახლიდან გავედი და გზაზე დიდი ძაღლი დავინახე, რომელიც ერთი შეხედვით, თავისთვის ინვა. მე გზის მეორე მხარეს გადავედი, მაგრამ მას რომ მივუახლოვდი, თავი წამოსწია და ისე დაიღრიალა, რომ ძარღვებში სისხლი გამეყინა. ამ დროს გაჩერდა მანქანა, როგორც ჩანს, მის პატრონს ჩემი შიში არ გამოეპარა...იქიდან ახალგაზრდა ბიჭი გადმოვიდა, რომელმაც შემომთავაზა დანიშნულების ადგილას წაყვანა. მე ვიუარე, მაგრამ ის არ შემეშვა და მანქანის კარი გამიღო. მეც ჩავჯექი. ვკითხე ვინაობა, მაგრამ მან მითხრა, რომ საჭირო არ იყო...

ამ სიტუაციით იმდენად დაბნეული ვიყავი, რომ დამშვიდობებისას მადლობაც ვერ გადავუხადე. მინდა, ახლა გაზეთის საშუალებით ვუთხრა მას მადლობა და დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და წარმატებები ვუსურვო როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. მიხარია, რომ არსებობენ ასეთი ყურადღებიანი და გულისხმიერი ადამიანები. ვისურვებდი, რომ საქართველოს ბევრი ჰყავდეს ასეთი ახალგაზრდა, მაშინ ჩვენს ერს გადაშენება არ უწერია.

მედიკო თარალაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 18.04		სამშაბათი 19.04		ოთხშაბათი 20.04		ხუთშაბათი 21.04		პარასკევი 22.04		შაბათი 23.04		კვირა 24.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
11 °	10 °	14 °	12 °	14 °	10 °	11 °	8 °	8 °	5 °	10 °	9 °	13 °	10 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოკიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.